

ქ.თბილისი

2019 წლის 30 იანვარი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2019 წლის 30 იანვარს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ლაშა მაჭავარიანი, აკაკი კერესელიძე, ირაკლი ჩიქავა, ლაშა თავართქილაძე, ედუარდ ნაჭყებია, სულხან სულხანიშვილი.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის განცხადება, მატჩის მეთვალყურის გ. ქერაშვილის ოქმი, მსაჯთა ბრიგადის თ. გვირგიშვილის, ს. აბულაშვილის, შ. ცაგარეიშვილის მიერ მოწოდებული ინფორმაცია და მოხსენებითი ბარათები, ამა წლის 27 იანვარს, დიდი 10-ს მატჩზე, თბ „არმაზი“-სა და ქუთაისის „აია“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

1. ქუთაისის „აია“-ს მწვრთნელი დავით ნემსაძე - მატჩის ოფიციალური პირის გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.2 პუნქტით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. ქუთაისის „აია“-ს მწვრთნელი დ. ნემსაძე დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 300 (სამასი) ლარით.
2. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 2 მარტამდე.
3. დისკვალიფიცირებული მწვრთნელის მიერ სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.19 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში კლუბის მიმართ ამოქმედდება ამავე პუნქტით გათვალისწინებული სანქცია.
4. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ქუთაისის „აია“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე

 /მ.თავზარაშვილი/